6717

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლიტერატურული საქართველო

სამშაბათი, 20 ოქტომბერი, 1942 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო № 39 (250). ფასი 30 კაპ.

## მწერალთა სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის გაცხოველებისათვის

ერთ წელიწადზე მეტია უკვე, რაც სსრკ-ის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის მომართვის საფუძველზე საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირთან დაარსდა აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილება. ამ ახალი განყოფილების ერთად-ერთი მიზანი და დანიშნულება იყო გაეცხოველებინა მწერალთან საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა, შეეტანა მასში უფრო მეტი გეგმიანობა და ოპერატიულობა.

მართლაც, ამ განყოფილების მეოხებით ჩვენი მწერლების მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც პროპაგანდისტი და აგიტატორი, გააქტიურდა, მათ მუშაობას ამ დარგში უფრო გეგმიანი ხასიათი მიეცა. მწერალთა მონაწილეობით სისტემატურად ეწყობოდა და ეწყობა საღამოები თბილისის საწარმოებში, სარაიონო ცენტრებში, ჰოსპიტლებში, წითელი არმიის ნაწილებში, მათი გამოსვლები იდეურად და პოლიტიკურად უფრო შინაარსიანი შეიქნა. მაგრამ განყოფილების მუშაობა მხოლოდ ამით არ უნდა იფარგლებოდეს, განყოფილებას ევალებოდა და ევალება კონტაქტი დაამყაროს ჩვენს პოლიტიკურ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან, რომ მათი დახმარებით მწერლების საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობას უფრო მეტი გასაქანი მიეცეს.

გასულ წელს განყოფილებამ მართლაც სცადა რადიოსტუდიასთან სისტემატური თანამშრომლობის მოგვარება, შეადგინა რადიოში მწერალთა გამოსვლების თემატიური გეგმა, რამდენიმე თემატიური გადაცემაც მოაწყო, მაგრამ ეს საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა და ამჟამად მწერალთა მუშაობას რადიოში ისევ შემთხვევითი ხასიათი აქვს. კინო-სტუდია, აგიტ-ფურცლებისა და საარმიო გაზეთების რედაქციები, პარტიის საგიტაციო პუნქტები დღემდე თავიანთ საქმეს მეტწილად მწერალთა სისტემატური მონაწილეობის გარეშე აკეთებენ, რაც, უეჭველია, უარყოფითს გავლენას ახდენს მათი მუშაობის ხარისხზე. აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებამ უნდა აღადგინოს კონტაქტი რადიო-სტუდიასთან. ასევე დაამყაროს თანამშრომლობა ზემოხსენებულ ორგანიზაციებთან.

განყოფილებამ უნდა იზრუნოს აგრეთვე ჩვენი მწერლების, როგორც აგიტატორებისა და პროპაგანდისტების, კვალიფიკაციის ამაღლებისთვის.

ერთხელ ჩვენმა გაზეთმა უკვე აღძრა საკითხი იმის შესახებ, რომ მოწყობილიყო სემინარები, სადაც ჩვენი მწერლები კომპეტენტური ლექტორების ხელმძღვანელობით უფრო საფუძვლიანად შეისწავლიდნენ საერთაშორისო პოლიტიკის, ეკონომიკის, სამამულო ომის მიმდინარეობის საკითხებს, რომ შემდეგ საჭიროებისამებრ გამოვიდნენ და გასცენ პასუხი დაინტერესებულ მსმენელებს მუშათა, კოლმეურნეთა და წითელარმიელთათვის გამართულ საღამოებზე, განყოფილებამ ამ მხრივაც უნდა გამოიჩინოს თაოსნობა და გადასდგას ნაბიჯი ამ საკითხის მოსაგვარებლად.

განყოფილებამ უნდა მიიღოს ზომები აგრეთვე მწერალთა კლუბის მუშაობის გასაცხოველებლად. მან კლუბი უნდა გადააქციოს თავის ძირითად ბაზად, გამოიყენოს მთელი ის მდიდარი შესაძლებლობა, რომელიც კლუბს მოეპოვება: მოაწყოს კლუბში თემატიური საღამოები სამამულო ომის საკითხებზე, გამართოს შეხვედრები ფრონტისა და ზურგის გმირებთან, სამამულო ომის მონაწილე მებრძოლთა ოჯახების წევრებთან, გამართოს საღამოები ახალგაზრდებისა და ბავშვებისათვის და ამ საღამოებში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს როგორც ქართველი საბჭოთა მწერლები, ისე თბილისში ჩამოსული მოძმე რესპუბლიკების ცნობილი მწერლები და ხელოვანნი. მთელი ამ ძალების ამოქმედება, უეჭველია, მეტი მხატვრული ხარისხით აღჭურავს კლუბში მოსაწყობ საღამოებს, გადააქცევს კლუბს ისეთ ადგილად, სადაც ხალისით მოვა მასობრივი მსმენელი, სადაც იგი გააძლიერებს თავის პატრიოტულ განწყობილებას, შეიძენს ახალ ძალასა და ენერგიას სასახელო საქმეების ჩასადენად ფრონტსა და ზურგში.

განყოფილებას ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი. მას უნდა ეხმარებოდეს მწერალთა კავშირის მთელი აპარატი, მას სისტემატურად უნდა ხელმძღვანელობდეს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი, სისტემატურად ისმენდეს განყოფილების მუშაობის ანგარიშს და მიმართულებას აძლევდეს მის საქმიანობას, მხოლოდ ასეთი აქტიური დახმარებით და ხელმძღვანელობით შესძლებს განყოფილება გამოიყვანოს ჩვენი მწერლობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან და აქტიურ ძალად საბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდის მთელს სისტემაში.

## ვანდა ვასილევსკაიას „ცისარტყელა"

გაზეთ „იზვესტიის" აგვისტოსა და სექტემბრის ნომრებში დაიბეჭდა ცნობილი მწერლის ვანდა ვასილევსკაიას მოთხრობა „ცისარტყე- [illegible]

[illegible] ხება, იგი „ცრემლით და სისხლით" არის აწერილი. ვანდა ვასილევსკაიამ, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ომის გზებით ვიდოდა წი- [illegible]

## ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობა" მოსკოვის მცირე თეატრის სცენაზე

[illegible]

## ფრონტის სურათები

### ირაკლი აბაშიძე

### როგორ მიიღეს მაიორი გეთია პარტიის რიგებში

არა, ამხანაგ კოტე სოხაძეს ნამდვილად ერთნაირად უყვარს თავისი ნაწილის ყველა მებრძოლი და მეთაური. ძნელია ამ სიყვარულში გამონაკლისი უნახოთ.

თუმცა ამ გრძნობის გამომჟღავნებაც რაღაც თავისებურად იცის ამხანაგმა კოტემ. პირველი შეხედვით ამ სიყვარულს სიყვარულთან საერთო არაფერი აქვს, იგი მხოლოდ დისციპლინური ურთიერთობა გეგონებათ ან კიდევ უბრალო სამსახურებრივი დამოკიდებულება უფროსსა და უმცროსს შორის. სიყვარულის გამომხატველი ჩვეულებრივი სიტყვები ამხანაგ კოტეს ლექსიკონში არ მოიპოვება და ის საკუთარი, მის მიერ შემუშავებული ტერმინოლოგია, რომლითაც იგი ცდილობს გადასცეს ვისმე ეს თავისი სიყვარული, ხანდახან თავზარდამცემია ამ ადამიანისათვის.

ვთქვათ, ამხანაგ კოტესთან ერთად მიდიხართ რომელიმე დანაყოფში ცეცხლის ხაზზე. ამხ. სოხაძეს პირველად უსათუოდ რაიმე ნაკლი ეცემა თვალში და აქედან დაიწყება ყველაფერი: მონახავს დანაყოფის მეთაურს და ამ საცოდავ ნაკლს ისე გაუზვიადებს, ისეთ უკმაყოფილებას და შეშფოთებას გამოსთქვამს, რომ დამსწრე, თუ კარგი მცოდნე არ არის სამხედრო საქმისა, ან კარგად არ იცნობს ამხანაგ კოტეს ხასიათს, უსათუოდ იფიქრებს — „დავიღუპეთ, თუ სულ არა, ეს დანაყოფი მაინც არ გადარჩებაო". მაგრამ როცა ნაწილიდან უკან გამობრუნდებით, ამხანაგი კოტე მოგიბრუნდებათ და თავისუფლად ამოგასუნთქებინებთ.

— დიდებული მეთაურია, საათივით იცის საქმის მოწყობა, ჭკვიანია და მოქნილი, ძმასავით შეგიყვარდებათ.

ან გზად მიმავალ მებრძოლს დაინახავს და უსათუოდ გააჩერებს.

— მოდი აქ შენ, ეს რა მეველესავით გადაგიკიდია თოფი, ფრონტზე ხარ თუ ყანაში?! მთელს დანაყოფში ერთი სამართებელი არ აღმოჩნდა, რომ წვერი მოგეშორებინა?

მერე მოგიბრუნდებათ და მებრძოლის თანადასწრებით გეტყვით:

— ბრძოლაში თავზე-ხელაღებულია, ახლა რომ უცქერით, ასე ცხვარივით როდია. აბა, ერთი მოჰყევი, ბიჭო, შენი ამბავი,—და მებრძოლს აღარ დააცლის, თვითონ დაიწყებს და გატაცებით მოგიყვებათ ამ უკანასკნელის რომელიმე ვაჟკაცურ თავგადასავალს.

აწითლებული, აჭარხალებული მებრძოლი დგას და სიამოვნებისაგან დარცხვენილი თვალებით გეუბნებათ:

„არც იმდენი ჩამიდენია მაინცა და მაინც, მე მხოლოდ ჩემი ვალი შევასრულე სამშობლოს წინაშეო".

ნამდვილად ერთნაირად უყვარს თავისი ნაწილის ყველა მებრძოლი და მეთაური ამხანაგ კოტე სოხაძეს.

ვერაფერს ვიტყვი მის გამონაკლისებზე. მაგრამ ამხანაგი კოტე განსაკუთრებულის გაცხოველებით დაიწყებს ლაპარაკს, როცა სიტყვა შეეხება ამხანაგებს კაციტაძეს ან ჩირაძეს, გეთიას ან გვალიას, ბერიძეს ან ვასაძეს.

განსაკუთრებულ სიამოვნებას ჰგვრის ამხანაგ კოტეს მაიორ გეთიას თავგადასავლის მოყოლა.

მაიორი გეთია ძველი არტილერისტია, მეგრელი, შუახნის კაცი, მაღალი, განიერ-ბეჭებიანი. გოლიათის შთაბეჭდილებას სტოვებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა არტილერიის ცეცხლს აჩაღებს, სათვალთვალო პუნქტის ახლოს წინ და უკან დაალაჯებს და კი არ ლაპარაკობს, გრიალებს—დააყარეთო.

— არ შეიძლება, რომ მაგან რაიმე უცნაური არ ჩაიდინოს, — ღიმილით ამბობს ამხ. კოტე მაიორ გეთიაზე. მართლაც, ამხანაგ გეთიას ყოველ მოქმედებას რაღაც აქვს გამამხიარულებელი, თავისებური. იგი მტერს ატყუებს, სჯაბნის, დასცინის და მერე მეგრულის ჰუმორით ჰყვება თავის წარმატების ამბავს.

ჩვენ ფრონტისპირა ერთს დასახლებულ პუნქტში შევედით.

— აი ამ სახლის სახურავზე ჰქონდა ამხანაგ გეთიას სათვალთვალო პუნქტი ერთ-ერთი შეტევის დროს,—გვითხრა ამხანაგმა კოტემ.

გაშლილ ადგილას სდგას ამ სოფელში ყველაზე მაღალი შენობა, თეთრი, ბრჭყვიალა რასაკვირველია, აქედან რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ყველაფერი მოსჩანს, მაგრამ რამდენიმე კილომეტრის მანძილიდანაც ამ არემარეში სულ რომ არაფერი გამოჩნდეს, ეს შენობა მაინც აშკარად დასანახია.

ამის შესახებ გეთია სიცილით ამბობს:

— მტერი თუ სულ არ გამოსულელებულა, როგორ იფიქრებდა, რომ ასეთ აშკარა ადგილზე სათვალთვალო პუნქტი მექნებოდა, ხოლო თუ მაინც ამ შენობაზე იჭვს მიიტანდა და, მაშასადამე, ასეთ უვიცად ჩამთვლიდა, არასგზით ამას არ ვაპატიებდი და სამაგიეროს მალე გადავუხდიდი.

მართლაც, იმ ბრძოლაში ამ პუნქტს არაფერი მოხვედრია. მერე კი ჩვენებმა აქედან მტერი განდევნეს, ამიტომ საჭირო გახდა ადგილის გამოცვლა პუნქტისათვის და აქედან მისი წინ გადატანა.

ასე გაუმართლა მაიორ გეთიას მისმა უცნაურმა სათვალთვალო პუნქტმა.

აქ, სამამულო ომის ველზე, მტრის ცეცხლის ქვეშ მიიღეს ძველი არტილერისტი, გამჭრიახი და დინჯი მაიორი გეთია საკ. კ. პ. (ბ) რიგებში. ეს იყო მაშინ, როცა სამხრეთის ფრონტის ერთ უბანზე მოწინააღმდეგე ჭარბი ძალების ინტენსიური მოწოლით მოიწევდა წინ. სწორედ მაშინ შევიდა პირველად ომში მაიორ გეთიას საარტილერიო პოლკი და შევიდა გრიგალისებური ცეცხლით. მტერი აქ უკვე მოულოდნელ წინააღმდეგობას წააწყდა და როგორც გამოქანებული ცხენი დადგება ოთხზე, ისე დააცივდა უეცრივ ერთ წერტილს, სანგრებში ჩაჯდა.

ჩვენი ნაწილებისა და მტრის ჯარის განლაგების შორის მოხვდა ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთი რაიონული ცენტრი, რომელიც, მტრის მიახლოვების გამო, რამდენიმე დღის წინად მიუტოვებია ადგილობრივ ხელისუფლებას. საუბედუროდ რაიონის ხელმძღვანელ ამხანაგებს ყველა საჭირო დოკუმენტის წამოღება ან განადგურებაც კი ვერ მოესწროთ.

ამხანაგმა გეთიამ ხელახლა დაუშინა მტრის პოზიციებს ცეცხლი. ცოტა კიდევ დაახევინა მტერს უკან, რათა ზემოხსენებულ სარაიონო ცენტრში უშიშრად შესვლის საშუალება ჰქონოდა, და როცა მტერი ამ ადგილს უკვე თავისად თვლიდა, მაიორ გეთიას ნაწილმა შიგ ამოჰყო თავი.

მაშინვე საკ. კ. პ. (ბ) რაიონული კომიტეტისა და რაიაღმასკომის შენობაში შეიჭრა (ერთ შენობაში ყოფილა ორივე მოთავსებული) და პირველ რიგში დოკუმენტებს მიჰხედა, მერე კი ეს შენობა ძალზე მოეწონა და შიგ თავისი შტაბი მოაწყო.

დაისადგურა ძველმა არტილერისტმა, უპარტიო მაიორმა საკ. კ. პ. (ბ) რაიკომის შენობაში. მისმა პირველმა ოპერაციამ სამამულო ომში ბრწყინვალედ ჩაიარა. დიდი ხანია ოცნებობდა გამოცდილი არტილერისტი მტერთან პირისპირ შეხვედრას, ოცნებობდა ბრძოლის პირველ დღეზე და აი როგორი გამარჯვება არგუნა ამ პირველმა დღემ!

— ნამდვილი ბოლშევიკი ხარ შენ, მაიორო, — უთხრა ამხანაგმა კოტემ, —უპარტიო ბოლშევიკი!"

დაჯდა მაიორი გეთია მის მიერ გადარჩენილი რაიონის პარტიული კომიტეტის შენობაში რაიკომის მდივნის მაგიდასთან და დასწერა განცხადება. ამ განცხადების დაწერის დღეზედაც დიდ ხანს ოცნებობდა იგი, შუახნის სამხედრო სპეციალისტი, მაგრამ ეს დღე მაშინ უნდოდა გათენებულიყო, როცა იგი ნამდვილი საქმით და ვაჟკაცობით დაუმტკიცებდა ერთგულებას საყვარელ სამშობლოს.

„მე მინდა დიად სამამულო ომში ვიბრძოლო გერმანელ ოკუპანტების წინააღმდეგ როგორც კომუნისტმა. გთხოვთ, მიმიღოთ საკ. კ. პ. (ბ) რიგებში".

როცა პარტიული ორგანიზაცია მაიორ გეთიას პარტიაში მიღების საკითხს იხილავდა, მისი ქვემეხები განსაკუთრებულად ჰქუხდნენ — ეს მაიორის ვაჟკაცები მეთაურის საკ. კ. პ. (ბ) რიგებში მიღების აღსანიშნავად უშენდნენ ფაშისტებს.

**მოქმედი არმია.**



**ჩრდილოეთი კავკასია.** ჩვენი მებრძოლები ბრძოლას ეწევიან ერთ-ერთი დასახლებული პუნქტისათვის (საკდესის ფოტოქრონიკა).

## ლოპე დე ვეგას კომედია რუსთაველის სახელობის თეატრში

### დ. ჯანელიძე

რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე ვნახეთ ლოპე დე ვეგას კომედია „სხვისთვის სულელი, თავისთვის ჭკვიანი". ისევე, როგორც „ცხვრის წყაროთი", ამ კომედიითაც ავტორი გვიხატავს თავისუფლებისათვის მებრძოლს, მტკიცე და მიზანმისწრაფებული ხასიათის მქონე, გმირული სულით გამორჩეულ ქალის ტიპს, რომელსაც ჭკუა უჭრის და მოხერხებაც გააჩნია მტერი შეცდომაში შეიყვანოს, დააბნიოს და შემდეგ უეცარი და მოულოდნელი დარტყმით მოსპოს და გაანადგუროს იგი.

კომედია დასდგა რეჟისორმა დოდო ალექსიძემ. სპექტაკლი გონებამახვილი გამომგონებლობით, გემოვნებით, ღია ფერადოვნების სიმსუბუქით და სიხალისით არის განხორციელებული. პიესა მეტწილად სწორად არის ამოკითხული, ყოველი სცენა რეალისტური წარმოსახვის სიღრმით და სისადავით არის აწყობილი და მთელი სპექტაკლი სცენიური ოსტატობით არის გამართული. ამჯერად მსახიობთაგან ჩვენ ვისმენთ კარგ ქართულს, სისადავით და სიმართლით ფასდადებულ სიტყვას.

სპექტაკლი არ არის უნაკლო და ეს ნაკლი არც იმდენად მცირეა, რომ მასზე არაფერი სთქვა და არც იმდენად დიდია, რომ მან ამ საინტერესო მხატვრულ შემონაქმედს ღირსება დაუკარგოს. ერთ-ორ სცენაში რეალისტური თეატრის მთავარი მცნების დავიწყებით ზოგი რამ აქტიორული შემოქმედების საზიანოდ არის ჩართული. მაგალითად, სრულიად შეუსაბამოა პირველ სურათში დიანას წამდაუწუმ ხეზე შესკუპება. გონებამახვილად მიგნებული დეტალი ზოგჯერ ისეთი ამოჩემებით მეორდება, რომ უგემურობად იქცევა. მაგალითად, ამ სპექტაკლის მხატვრულ ღირსებას სრულიად არ შეჰფერის ჰერცოგინიას კაბის კუდზე წინა-უკუმო ხტომის ამოჩემება და მრავალჯერ გამეორება. სპექტაკლს აქა-იქ კიდევ შემორჩენილი აქვს ხორცმეტი, რის მოშორება რეჟისორს არ უნდა დანანებოდა, ხილის ლარნაკებით სტატისტების სცენაზე გატარებას არავითარი აზრი არ აქვს და სრულიად ზედმეტია. ერთ-ერთ სცენაში სტილი ირევა, რიტმი იკარგება, ზღვის სანაპიროს სცენა რომანტიული განწყობით სხვა პიესიდან ამოხეული ფურცლის გასცენირებას მიაგავს და საერთო არაფერი აქვს ამ სპექტაკლის ტონთან. ცხადია, მართებულად ვერ იქცევა რეჟისორი, როდესაც შემსრულებლის თავისებურებისა და შესაძლებლობლის გაუთვალისწინებლად „კომედია დე ლ'არტეს". ნიღაბის წარმოსახვა-გათამაშებას ცდილობს. ამიტომ იყო, რომ მარცელოს სცენიური სახე რეჟისორის შთანაფიქრს მეტად მკრთალად გამოხატავს.

მაგრამ ყველა ეს ნაკლი გავიწყდებათ, როდესაც ხედავთ სცენაზე თამარ ჭავჭავაძეს. მისი თავისებური და მდიდარი აქტიორული შესაძლებლობა მარჯანიშვილის მიერ დადგმულ „ცხვრის წყაროში" გამოჩნდა, ხოლო ჯონ სინგის „გმირით" დადასტურდა. და აი ეხლა, ოცი წლის შემდეგ, ის ისევ უბრუნდება რუსთაველის თეატრის სცენაზე ლოპე დე ვეგას. დიანას როლის შესრულებით თამარ ჭავჭავაძე ინარჩუნებს ელვარე ნიჭის სითბოს, ზღვა ტემპერამენტს, სიმართლით განსახიერების დიდ ძალას, მრავალი წლის ვარჯიშით და გამოცდილებით დამშვენებულ სცენიურ მეტყველებას და ჯანსაღ თეატრალურ პათოსს. ის იმდენად მომწიფებული ოსტატი სჩანს, რომ თავისი აქტიორული შესრულებით ტონს აძლევს და მაღლა სწევს მთელ სპექტაკლს, წინ უძღვის წარმოდგენაში მონაწილე ანსამბლს და სცენას აცოცხლებს ხალისიანი და მგზნებარე, მუდამ ახალგაზრდა და ჯანსაღი არტისტული ბუნებით. ამ კომედიითაც თამარ ჭავჭავაძე ერთგული რჩება თავისი გზისა და მიმართულებისა და პოეტური გატაცებით უმღერის ქალის გმირულ სულს, უტეხ ნებისყოფას, წამოწყებულის ბოლომდე გატანის ძალას და სიმამაცეს. თანაც მის შესრულებაში ისევ მომხიბლავი სიძლიერით ჟღერს ქალური კდემამოსილება და გამძაფრებული სიყვარულის კეთილშობილი გრძნობა. ისევე, როგორც მისი ლაურენსია, პეგი მაიკ, სანჟენ და გურული ქალი დარია, დიანაც ხალხური გულწრფელობით, დაურიდებელი პირდაპირობით და ქედმოუხრელობით არის მადლმოსილი.

თამარ ბაქრაძისათვის ამ კომედიაში მონაწილეობა ნამდვილ არტისტულ დაბადებად იქცა. დღემდე მისი ნიჭი, აქტიორული შესრულების უნარი სრული ძალით არ იყო გამომჟღავნებული და ამ სპექტაკლით ჩვენ წინ წარმოსდგა გულმოდგინებით დამუშავებული პლასტიკის მქონე მსახიობი ქალი, რომელსაც ძალა აღმოაჩნდა შებმოდა თამარ ჭავჭავაძის დიანას. ამ ფიცხელ დუელში თამარ ბაქრაძის თეოდორას არაფერი არ აკლდა. ამპარტავნული იერი, მძვინვარება, ინტრიგა, არისტოკრატიული ქედმაღლობა და ქარაფშუტობა ჩვენს წინ ცოცხლად წარმოისახა, და პატივი და ღირსება დასდო თამარ ბაქრაძის სურათოვანად განსახიერების დამაჯერებელ ძალას.

გიორგი დავითაშვილი (ალექსანდრო) ახლაც ისევე გატაცებით თამაშობს მიჯნურის როლს, როგორც ამ ოცი წლის წინად. უფრო მეტი სილამაზით და სიმკვეთრით სძერწავს სკულპტურული აღნაგობის კეთილშობილ პოზებს. ამ ჯერადაც გასაოცარი მოხდენილობით შეიშნო მან გარდასულ დროთა არისტოკრატის კოსტიუმი და ქცევა და ჭვლავ მოგვხიბლა, დიანასთან ერთად, ლირიზმით აღსავსე სამიჯნურო დუეტის ამაღლებელი შესრულებით.

ემანუილ აფხაიძის მიერ ჯულიოს შესრულებამ ერთხელ კიდევ ნათელჰყო, რომ ამ მსახიობმა თავისებური იერი მისცა და ნაციონალური ელფერი დასდო კომედიას ქართულ საბჭოთა სცენაზე. ის სცენას ავსებს რამდენიმეთ ყვედა-მორეული იუმორით და ამით ენათესავება „დარისპანის გასაჭირის" ავტორს. ემ. აფხაიძე თავის ცოცხალი განსახიერებით ჯულიოს არა მარტო სასაცილოდ ხდის, არამედ საცოდავადაც წარმოგვიდგენს, რაც ერთიორად ამძაფრებს მისი კომიზმის ძალას.

ლ. ყაზაიშვილი (ფაბიო) თავისუფლად და თანაც ზომიერებით თამაშობდა. როლის ხალისიანი და პლასტიკური შესრულებით მსახიობი ამ სპექტაკლის კომედიური ანსამბლის თვალსაჩინო ძალად სჩანდა.

კამილოს საინტერესო სურათოვანი და თავისებური სახე დაგვიხატა შ. აბესაძემ. ამ როლში მან განსახიერების კარგი უნარი გამოიჩინა. შთანაფიქრის შესაბამისად მას მოხდენილად აქვს შეთანხმოვანებული ურთიერთთან ხმა და კილო, გრიმი, ჟესტი და მიმიკა, ქცევა და მოძრაობა.

მთელ რიგ სცენებს ახალგაზრდულ გულწრფელობას, სიხალისეს და სილამაზეს მატებდა მ. თბილელი (ლაურა).

ამჯერად დ. ოქროსცვარიძეს აკლდა განსახიერების ის სიმკვეთრე და ნათელი სიცხადე, რითაც ის წინა სპექტაკლებში გამოირჩეოდა. მოსაწყენი და უფერული იყო ფენიზას როლში მ. ჯაჯანაშვილი, იმდენად უფერული, რომ მისი შესრულების ნაკლიც კი არა სჩანდა.

ამ სპექტაკლში მაყურებელთა დარბაზი განიცდის მხატვრულად აწყობილი მასობრივი სცენების მაღალ აზრს და მიმზიდველ სილამაზეს. მთელი სპექტაკლი აღსავსეა პლასტიკურობით. მხატვრული გაფორმება ეპოქის სულის წვდომით, მკაცრი გემოვნებით, გონებამახვილი გამომგონებლობით და მომხიბლავი ფერადოვნებით არის დამშვენებული. რეჟისორს დოდო ალექსიძეს ამ კარგი სპექტაკლის შექმნაში სერიოზული თანაშემოქმედება გაუწია მხატვარმა ს. ვირსალაძემ.

**ხუთშაბათს, 22 ოქტომბერს, დღის 2 საათზე გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია იწვევს**

**მწერალთა თათბირს**

**განსახილველია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები.**

